შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4194

2020 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1 („შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა და მოწვეული სპეციალისტები“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი №1

შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა და მოწვეული სპეციალისტები

შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა		
1.	ლევან კაკავა	შემოსავლების სამსახურის უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე)
2.	ნინო ფოდიაშვილი	დავების დეპარტამენტის უფროსი
3.	რომან ბუღაძე	საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
4.	ლევან წითელაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
5.	შალვა კოპალეიშვილი	დავების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე
6.	ნინო მაისურაძე	დავების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მ/შ
7.	შოთა ვალიშვილი	აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
8.	მერაბ არახამია	საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მოწვეული სპეციალისტები

1.	ირინე სალუქვაძე	აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
2.	პაატა ბუხნიკაშვილი	საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი
3.	ირაკლი ლაშხია	ანალიტიკური დეპარტამენტის საგადასახადო დავალიანების მართვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე
4.	დიმიტრი ამისულაშვილი	საბაჟო დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსის მოადგილე
5.	მადინა მაყაშვილი	მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
6.	ლევან სირანაშვილი	საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსი